რა ჩამოგვიტანეს ბრიუსელიდან და ნატოს გენერალური შტაბ-ბინიდან ქალაქის მერმა და გუბერნატორის მოადგილემ

ალიონი. 20-23 მარტს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისისა და ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილების ორგანიზებით, საქართველოს ყველა რეგიონის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისათვის ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში სამუშაო ვიზიტი გაიმართა.

ვიზიტის ფარგლებში, ნატოს შტაბ-ბინაში შედგა შეხვედრები ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაისთან, ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილესთან ტედ უაითსაიდთან, ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილესთან პეტრ ლუნაკთან და ამავე განყოფილების წარმომადგენელთან დესპინა აფენტოულისთან, ნატოს სამოქმედო და ოპერატიული „სექტორის“ ხელმძღვანელთან მიჰაი კარპისთან, ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილესთან უსაფრთხოების მოსალოდნელი გამოწვევების განყოფილებიდან ჯეიმი შეასთან, ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ქალების მშვიდობის და უსაფრთხოების საკითხებში მარიეტ შურმანთან და ნატოში საქართველოს მისიის ხელმძღვანელთან ალექსანდრე მაისურაძესთან. ამასთან, მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრები გაიმართა ნატოში გერმანიის, რუმინეთისა და აშშ-ს მისიების წარმომადგენლებთან.

შეხვედრებზე განიხილეს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №14 (10155), 4 აპრილი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე აბაშაში ოზურგეთელებმაც აღნიშნეს

ალიონი. 31 მარტს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე აბაშაში, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში აღნიშნეს.

—ოზურგეთიდან 10-კაციანი დელეგაციის წევრები წავედით. ლანჩხუთიდან ლადო ჩხაიძე შეგვიერთდა, დაფნარში ვანის წარმომადგენლები დაგვხდნენ, შემდეგ სამტრედიაში დაგვხვდა 5-კაციანი ჯგუფი და ერთად ჩავედით აბაშაში. კონსტანტინე გამსახურდის სახლ-მუზეუმის ეზოში შევიკრიბეთ. აქ დასავლეთ საქართველოდან სხვა ჯგუფებიც იმყოფებოდნენ. მუზეუმის ეზოში კომუნისტების დროს დაწყებული ახალი მუზეუმის კარკასი ისევ აუშენებელია. ოდა სახლის უკან ღოჯით აშენებული სამზადი დანგრევის პირასაა მისული, გულნაკლული დავრჩით ასე უყურადღებოდ რომ არის მიტოვებული სახლ-მუზეუმი — გვითხრა

გვ-2

ანეკდოტები

— როდის აკეთებენ ჩვენი მთავრობის წევრები კეთილ საქმეს?..

გვ-6

მეგაპროექტი გურიაში: ურეკის წყალმომარაგების და წყალარიდების სისტემის რეაბილიტაციაზე 75 მილიონი ლარი დაიხარჯება

ალიონი. გურიაში ახალი მეგაპროექტი შარშან დაიწყო. ურეკის წყალმომარაგების და წყალარიდების პროექტის განსახორციელებლად აზიის განვითარების ბანკი 75 მილიონ ლარს გამოყოფს. დამკვეთი საქართველოს წყალმომარაგების კომპანიაა. 65 მილიონი ლარის სამუშაოებს შპს „ფერი“(გენერალური დირექტორი სოსო მჭედლიშვილი) შეასრულებს, ხოლო გერმანულ - ქართული კომპანია „ფაიფერი“ გამწმენდ ნაგებობას ააშენებს. აღნიშნული ფირმა 10 მილიონამდე ლარის სამუშაოებს შეასრულებს.

გასულ ხუთშაბათს გაზეთმა „ალიონმა“ აღნიშნული მშენებლობა მოინახულა და მშენებლების მენეჯერს ესაუბრა.

ორიოდ სიტყვით შპს „ფერის“ შესახებ: „ფერის“ სახელს უკავშირდება ისეთი დიდი პროექტების განხორციელება როგორიცაა თელავის წყალმომარაგების, ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია; ქალაქ ბორჯომის, დაბა ბაკურიანის, ანაკლიიის, განმუხურის წყლის სისტემების რეაბილიტაცია; ისინი აგებენ 150 მეგავატიან ჰესს ყაზბეგში; აგებს მცირე და საშუალო ჰესები პანკისის ხეობაში, სვანეთში, რაჭაში და ა.შ. ასე რომ, „ფერი“ გამოცდილი ფირმაა და გურიაშიც სამუშაოების ხარისხიანად ჩატარებას გეგმავს.

გელა ფოფორია, მშენებლობის მენეჯერი: —წყალს სოფელ მერიაში, „ციხის ჭაბურღილებიდან“ მივიღებთ. (აღნიშნული ჭაბურღილებიდან მიეწოდება წყალი დაბა ლაითურში მშენებარე ციხესაც). აქვე მოეწყობა 150 კბ. მეტრი მოცულობის რეზერვუარი, საიდანაც წყალი 710 მმ-იანი პლასმასის მილებით 19 კმ. მანძილს გაივლის და წვერმაღალაში წყალსაქაჩში 2 რეზერვუარს შეავსებს. ძირითადი რეზერვუარი 5400 კბ. მეტრი მოცულობის იქნება, ხოლო სარეზერვო 1500 კბ. მეტრი მოცულობის.

ურეკში, შეკვეთილსა და კაპროვანში 49 კილომეტრი შიდა ქსელი მოეწყობა. წყლის ქსელი „ციცინათელასთან“ მდინარე ნატანებამდე მივა. მოეწყობა წყალარიდების სადაწნეო სადგურები. ამ სადგურებს უნიკალური დენის წყარო სჭირდება. „ენერგო პრო ჯორჯიამ“ ამაზე უნდა დროულად იზრუნოს.

— *რატომ უსვამთ ხაზს უნიკალურ დენის წყაროს?*

— ჩვენ ხარისხიანად შეავსრულეთ სამუშაოები ანაკლიაში, მაგრამ, იმის გამო, რომ „ენერგო პრო ჯორჯიამ“ ვერ უზრუნველყო ყველგან უნიკალური დენის მიწოდება, გენერატორების 30 პროცენტი არ მუშაობს.

— *ბატონო გელა, ვიცით წყლის ქსელის გამო გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა მერიის თემის მოსახლეობას...*

— პროექტში ცვლილება მოვახდინეთ და ახლა ჭაბურღილებიდან მილები ლაითურის ტერიტორიაზე გაივლის. სოფელს დავუტოვეთ ალტერნატივა. მილების მოსახლეობაში გაყვანის შემთხვევაში ისინი წლის ახალ პროექტს ველარ განახორციელებდნენ.

37 კილომეტრზე მოეწყობა საკანალიზაციო ქსელი. აქედან — ინდივიდუალური დაერთება ოჯახებზე -13 კმ, ხოლო კანალიზაციის სადაწნეო მილები 20 კმ იქნება. გამწმენდი ნაგებობა დაბა ურეკში გერმალური ტექნოლოგიით მოეწყობა.

—*რამდენი კომლი მიიღებს ურეკი-შეკვეთილი-კაპროვანში ხარისხიან წყალს?*

— ამ ეტაპზე 836 კომლი. ურეკში არის ძველი წყალმომარაგება, აქ 300 ოჯახამდე იღებს ამ წყალს. აქ შესვლა არ გაგვიკეთებია. როცა ძველი

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე აბაშაში ოზურგეთელებმაც აღნიშნეს

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა, მხატვარმა ვახტანგ მამეიშვილმა. – შემდეგ აბაშის კულტურის სახლში შევიკრიბეთ. სცენის სიღრმეში დიდი მონიტორი იდგა, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა განვლილი ისტორიის კადრები. სიტყვებით გამოვიდნენ აბაშის წარმომადგენლები, ოზურგეთიდან–ვახტანგ მამეიშვილი; ლანჩხუთიდან ლადო ჩხაიძე. მღეროდა აბაშის სიმღერის ბრწყინვალე ანსამბლი...

აბაშაში ძირითადად შეკრებილნი იყვნენ ეროვნული გვარდიის ყოფილი ჯარისკაცები, რომლებიც აფხაზეთში იბრძოდნენ. ისინი გულნაკრულნი არიან იმით, რომ არ აძლევენ ვეტერანის ბარათს. შემდეგ ქალაქ სამტრედიაში, რესტორან „ყაზბეგში“ ზვიად გამსახურდიას მხარდამწერები მოეფერნენ ერთმანეთს, გაიხსენეს განვლილი პერიპეტიები და გულისტკივილი ვერ დამალეს იმ უყურადღებობის გამო, რასაც მომდევნო მთავრობები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ და აქცევს საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამსახურებას ერისა და ხალხის წინაშე.–აღნიშნა გაზეთ „ალიონთან“ ვახტანგ მამეიშვილმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ ამომრჩევლებს 2015 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში წარუდგინა

საანგარიშო პრეზენტაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი მიმდინარე და დასრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ეკონომიკისა და მუნიციპალური სერვისების განვითარების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებზე დაკონკრეტდა და სკოლამდელი განათლების, კულტურული ღონისძიებებისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიმართულებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების მიზნობრიობაზე ისაუბრა. გამგებელმა ყურადღება იმ სამომავლო გეგმებსა და ახალ პროექტებზე გაამახვილა, რომელსაც მუნიციპალიტეტი მისი უფლებამოსილების ვადაში განახორციელებს.

შემაჯამებელ პრეზენტაციას ადგილობრივი ხელისუფლების წევრები, ამომრჩევლები, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის გამგებელი წელიწადში ერთხელ მაინც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ამომრჩეველს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს .

მერაბ ჭანუყვაძემ თავისი უფლებამოსილების ვადაში, რიგით მესამე, საანგარიშო პრეზენტაცია წარმოადგინა.

„ერთად ვებრძოლოთ ტერორიზმს“

31 მარტს ქალაქ ოზურგეთში, თეატრალურ მოედანზე ახალგაზრდული საკრებულოს ორგანიზებით გაიმართა აქცია „ერთად ვებრძოლოთ ტერორიზმს“.

აქციის მონაწილეები მსოფლიოში ბოლო დროს გახშირებულ ტერორისტულ აქტებს აპროტესტებდნენ.

აქციას გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილი, დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ზვიად კვაჭანტირაძე და ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აქციას შეუერთდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც.

„დღეს ყველა უნდა გავერთიანდეთ ტერორიზმის წინააღმდეგ. ტერორიზმი არ არის ერთი სახელმწიფოს პრობლემა. ეს ის დაავადებაა რომელსაც მსოფლიო უნდა ებრძოდეს. ახალგაზრდები აქტიურად აპროტესტებენ ტერორიზმს და მათი ამ კუთხით ჩართულობა მისასალმებელია“, - განაცხადა **გია სალუქვაძემ.**

გუბერნატორი „თიბისი ბანკის“ წარმომადგენლებს შეხვდა

გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე „თიბისი ბანკის“ წარმომადგენლებს ვლადიმერ მურუსიძესა და გიორგი დავითაშვილს შეხვდა.

შეხვედრაზე ბანკის წარმომადგენლებმა კოორდინირებული მუშაობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს და გუბერნატორს საკუთარი ხედვები გაუცნეს. ასევე, იმსჯელეს ბიზნესის განვითარების პერსპექტივებზეც.

„დღეს ჩვენ საკმაოდ ნაყოფიერი სამუშაო შეხვედრა გვქონდა. „თიბისი ბანკის“ რეგიონულმა დირექტორმა ვლადიმერ მურუსიძემ გურიაში სხვადასხვა პროექტების განხორციელებისთვის სრული მზაობა გამოთქვა. ყველაზე მთავარი სწორედ მათი ჩართულობაა სახელმწიფო პროგრამებში, როგორიცაა „აწარმოე საქართველო“ და „დანერგე მომავალი“, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის საგენტო ახორციელებს. მაქსიმალურად ვეცდებით არსებული აგრო პაკეტი ფერმერებამდე მივიტანოთ, რომლითაც შემდეგში ისინი შეძლებენ სამუშაოების განხორციელებას. შევთანხმდით ურთიერთთანამშრომლობაზე და ბანკის წარმომადგენლებს მინდა სრული მხარდაჭერისათვის მადლობა გადავუხადო,“- აღნიშნა **გია სალუქვაძემ.**

გუბერნიაში გამართულ შეხვედრას გუბერნატორის მოადგილეები ქეთევან მოისწრაფეშვილი და სოსო ერქომაიშვილი დაესწრნენ.

ოზურგეთში ვეტერანებს არ ცნობენ

ვეტერანები საკუთარ პრობლემებზე საუბრობენ

ალიონი. 1 აპრილს ვეტერანებმა სოფელ ნატანებში შეხვედრა გადაწყვიტეს. შეხვედრის მიზანი ვეტერანების პრობლემების განხილვა და მათი მოგვარების გზებზე მსჯელობა იყო. ნატანებელ ვეტერანებთან ერთად, შეხვედრას ესწრებოდნენ გურიის რეგიონის ვეტერანთა სამმართველოს უფროსი გელა ბაქანიძე, გენო ჭელიძე (გურიის ვეტერანთა დაცვის კომიტეტი), არსენ გობრონიძე და ვანო გორგოშიძე. ნატანებში სულ 43 ვეტერანია. უმეტესობა სხვადასხვა მიზეზის გამო შეხვედრას ვერ დაესწრო.

ვეტერანების მოთხოვნებია: დასაქმება, შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე, საპენსიო ასაკის დაწევა 65-დან 60 წლამდე, ქალების შემთხვევაში 60-დან 55 წლამდე. მიწის ნაკვეთების უფასო დაკანონება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვეტერანებისთვის თანხის გამოყოფა და საჭიროებისამებრ გამოყენება.

გენო ჭელიძე: –„ოზურგეთში ვეტერანებს არ ცნობენ, არ უსმენენ. არც ერთ რწმუნებულს არ აქვს კომუნიკაცია თავისი სოფლის ვეტერანებთან. ამის თქმა ნატანების მაგალითზეც შეიძლება, სადაც დღეს შეხვედრაზე ვეტერანების მხოლოდ მცირე ნაწილი მოვიდა"

რა ჩამოგვიტანეს ბრიუსელიდან და ნატოს გენერალური შტაბ-ბინიდან ქალაქის მერმა და გუბერნატორის მოადგილემ

მიმდინარე რეფორმები, არსებული ვითარება და პერსპექტივები, ასევე მოსახლეობის ინფორმირების კუთხით სტრატეგიული კომუნიკაციის მხრივ მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები.

მოხდა ისე, რომ შეხვედრის მონაწილეები, მათ შორის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ბეგლარ სიორიძე და გურიის გუბერნატორის მოადგილე იოსებ ერქომაიშვილი, ფაქტობრივად ბრიუსელში განხორციელებული ტერაქტის ეპიცენტრში აღმოჩნდნენ.

მოკლედ, გაზეთ „ალიონის“ დღევანდელი ნომრით შეგიძლიათ, დეტალურად შეიტყოთ, რა მოხდა ბელგიის დედაქალაქში 20-23 მარტს და რა ამბები ჩამოგვიტანეს ნატოს გენერალური შტაბ-ბინიდან ვიზიტში მონაწილე გურიის რეგიონის წარმომადგენლებმა.

ბეგლარ სიორიძე: – მინდა გითხრათ, რომ ვიზიტის ფარგლებში მართლაც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრები ჩატარდა, მაგრამ, თქვენი ნებართვით, საუბარს დავიწყებ იმ სამწუხარო ფაქტით, რომელმაც მთელი მსოფლიო შეძრა, მხედველობაში მაქვს ჯერ ბრიუსელის აეროპორტში, შემდეგ კი მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურში მომხდარი ტერაქტი.

ბედად, აეროპორტის ის საკონტროლო პუნქტი, სადაც აფეთქება მოხდა, ჩვენმა დელეგაციამ დაახლოებით ერთი საათით ადრე გამოიარა, ხოლო მეტროპოლიტენის ის სადგური, სადაც მოახდინეს მეორე აფეთქება, სასტუმროდან, რომელშიც დაგვაბინავეს, სამასიოდე მეტრით არის დაშორებული. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, როგორც კი გავიგეთ, რა მოხდა, პირველი, რაც ვთქვით, ის იყო, რომ ბეწვზე გადავრჩით, მაგრამ ძალიან მალე მივხვდით, რომ არავინ გადავრჩენილვართ და არავინ გადარჩენილა იმ გაგებით, რომ ასეთი საშინელება ყველა ჩვენგანის სატკივარია, არ აქვს მნიშვნელობა სად ხდება ტერაქტი, საკუთარ ქვეყანაში თუ სხვაგან, ჩვენგან შორს თუ ჩვენთან ახლოს.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედია გამახსენდა. ზუსტად ისე იდგა ფეხზე მთელი ბრიუსელი, ქალაქში უზარმაზარი შიში და პანიკა იყო დასადგურებული, შეწყდა ყოველგვარი საზოგადოებრივი ტრანსპორტის – მეტროს ტრამვაის, ავტობუსის მოძრაობაც კი. როცა სასტუმროდან დილით ნატოს შტაბ-ბინაში ავტობუსით წავიყვანეს, საღამოს უკან მიკროავტობუსით დაგვაბრუნეს, რადგან ქალაქში ავტობუსით გადაადგილება უკვე აკრძალული იყო.

შტაბ-ბინაში, მთელ შენობაში ყოველ ნახევარ საათში შემოდიოდა შემაძრწუნებელი ინფორმაცია დაღუპულთა რაოდენობის შესახებ, რამაც საბოლოდ, თუ არ ვცდები, ოცდათორმეტს მიაღწია.

საღამოობით, ნატოს შტაბ-ბინაში შეხვედრებიდან გამოსულები, ვუერთდებოდით მომიტინგეებს. მინდა აღვნიშნო, რომ ორი-სამი დღის განმავლობაში საქართველოს დელეგაციას საპატიო ადგილი ეკავა ამ მომიტინგეებს შორის. მთელ მოედანზე სანთლები ენთო, მთელი მოედანი სანთლებით იყო მოფენილი, დაახლოებით ისე, როგორც 2009 წლის 9 აპრილს თბილისში.

რაც შეეხება შეხვედრებს, როგორც უკვე ვთქვი, მართლაც საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო. ჩემი გამოსვლა ხუმრობით დავიწყე: ვარ იმ კუთხიდან, საიდანაც ბრძანდებოდა ჩვენი აწ განსვენებული პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც 1993 თუ 1995 წელს (ნამდვილად 1995 ვთქვი) გააკეთა განცხადება, რომ მალე ნატოს კარზე მივაკაკუნებდით. მას შემდეგ, ამდენი კაკუნით კარები ხომ არ დავაზიანეთ და კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევს ლოდინი მის შესაღებად თუ შეიცვალა რაიმე-მეთქი?

მერე სერიოზულად განვაგრძე: სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძის იმ განცხადებამ უზარმაზარი ემოცია გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში. ნატოში გაწევრიანება იყო და არის არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების, არამედ ქვეყნის მოსახლეობის, მათ შორის რიგითი მოქალაქეების მისწრაფება და სურვილი. სხვათა შორის, წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოსახლეობასთან შეხვედრისას, ჩემი თანამოქალაქეების (რომელთაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ბევრი სხვა პრობლემა აქვთ) ერთ-ერთი ძირითადი შეკითხვა იყო, თუ როდის შევალთ ნატოში. ასე რომ, დიდია მოლოდინი იმისა, როდის გავწევრიანდებით მსოფლიო მასშტაბით მშვიდობისათვის მებრძოლ სამხედრო ევროატლანტიკურ ალიანსში-მეთქი.

ძალიან ბევრია დამოკიდებული ჩვენზეც. ამ შეხვედრებმა საკითხში კიდევ უფრო ღრმად ჩამახედა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ამ ეტაპზე ძალიან ბევრს ნიშნავს, რომ საქართველო არის ნატოს პარტნიორი ქვეყანა. გვაქვს რაღაც-რაღაცეები გამოსასწორებელი, რათა საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ მაღალგ-ანვითარებულ ცივილიზებულ ქვეყნად. მე ვფიქრობ, რომ როცა ამას მოვახერხებთ, საქართველო აუცი-ლებლად გახდება ნატოს წევრი ქვეყანა.

იოსებ ერქომაიშვილი: – ვიზიტი ეხებოდა საქართველოს ინტეგრაციას ნატოს სტრუქტურებში. ეს იყო ნატოს მხრიდან კიდევ ერთი წინ გადადგმული და ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი – შეხვედრა იმ სტრუქტურების ხელმძღვანელებთან, ვისაც უშუალო შეხება აქვს ხალხთან (იგულისხმება გუბერ-ნიები და მუნიციპალიტეტები), ამ რგოლების კომისიაში შეყვანა და უშუალოდ მათგან მოსმენა თუ რა ხდება, როგორ ხდება, რა განწყობაა მოსახლეობაში, რა სურვილებია, თუნდაც რა წინააღმდეგობებია, რა პროპაგანდას ეწევა ესა თუ ის ქვეყანა, რათა ხელი შეუშალოს ან შეუწყოს ნატოში საქართველოს გაერთიანებას. ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან შეხვედრის დაგეგმვა – ეს იყო ნატოს შტაბ-ბინის ხელმძღვანელების მიერ მიღებული ძალიან გონივრული გადაწყვეტილება.

ვიზიტის ფარგლებში, ჩვენ შევხვდით ნატოს არაერთ წამყვან პოლიტიკოსს, რომლებიც პოლიტიკურ ამინდს ქმნიან მთელ მსოფლიოში, თავიანთი მოხსენებებით მათ გაგვაცნეს, რას აკეთებენ საქართველოსთვის.

რა თქმა უნდა, კითხვების დასმის საშუალება გვქონდა. დავუსვით ზუსტად ის კითხვები, რომელიც ნატოს მისამართით ხალხიდან, მოსახლეობიდან მოდის, გავაცანით ჩვენი და მოსახლეობის პოზიცია, შესაბამისი პასუხებიც მივიღეთ. ნატოს გენერალურ შტაბ-ბინაში მოღვაწე პოლიტიკოსები მოხარული და კმაყოფილი დარჩნენ ჩვენთან დიალოგით. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო არის ძალიან დიდი გამოწვევის წინაშე, რომელიც წარმატებით უნდა გადალახოს ჩვენმა ქვეყანამ. ამიტომ დაისახა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და მაქსიმალური ეფექტის მომტანი მიმართულებები.

ძალიან მაღალ დონეზე შეფასდა მისიებში ჩვენი ქვეყნის საჯარისო შენაერთების საშვიდობო მისიებში მონაწილეობა. ამბობენ, რომ მეორეები ვართ მსოფლიოში და დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ. თვითონაც გრძნობენ, რომ საქართველოდან ჰყავთ ერთგული მხარდამჭერები, მათი ერთგული პოლიტიკის გამტარებელი სამთავრობო გუნდი, ამ გუნდში, ბუნებრივია, შედის მისიის საერთაშორისო დონეზე შემსრულებელი ჩვენი საჯარისო ნაწილები.

რაც შეეხება ტერაქტის დღეს, ეს იყო ნამდვილი ტრაგედია არა მხოლოდ ბელგიისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ჩვენ ვიყავით ამ ყველაფრის ეპიცენტრში. გვითხრეს, რომ ვართ უსაფრთხოდ. ჩვენ კი იქეთ თანადგომა და დახმარება შევთავაზეთ იმდენად, რამდენადაც ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი გამოცდილება დაგვიგროვდა მსგავს სიტუაციებში მოქმედებისა. არ ყოფილა არანარი განცდა იმისა, რომ სხვანაირად გვეფიქრა, ან რაღაც შიში დაგვუფლებოდა, პირიქით, გვერდზე დავუდექით, თანადგომა გამოვუცხადეთ, მონაწილეობა მივიღეთ სამშვიდობო აქციაში, არაერთხელ დავაფიქსირეთ ჩვენი ქვეყნის პოზიცია, მსოფლიოში უმართავი მოსალოდნელი ომის დაგმობით. ტერორიზმი დღეს ნამდვილად მსოფლიო ტრაგედიაა, რომელიც საგრძნობლად მოხშირდა, იყო ერაყი, სირია, თურქეთი, სხვა მომიჯნავე თუ შორეული ქვეყნები...

თქვენი გაზეთის საშუალებით, კიდევ ერთხელ ვუცხადებთ თანადგომას არა მარტო ბელგიას, არამედ ყველა იმ ქვეყანას, სადაც ტერორისტული აფეთქებების შედეგად დიდი უბედურებები დატრიალდა. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ მსოფლიო ცივილიზაციამ ეს პრობლემა რაღაცნაირად უნდა მოაგვაროს და დაარეგულიროს, თანაც, რაც შეიძლება მოკლე დროში.

მეგაპროექტი გურიაში: ურეკის წყალმომარაგების და წყალარიდების სისტემის რეაბილიტაციაზე 75 მილიონი ლარი დაიხარჯება

ქსელის რეაბილიტაციას მოვახდენთ, ამ ქსელის მომხმარებელიც ხარისხიან წყალს მიიღებს.

– ქ. ოზურგეთში, შპს „ჯეოგადამამუშავებელი“ ტყვიის საწარმოს ამუშავებს გეგმავს. ისინი ადრე კუსტარულად ადნობდნენ ტყვიას და არასამთავრობო ორგანიზაცია „ორქისის“ კვლევით ტყვიის შემცველობა მდინარე ბუჟეში დასაშვებ ნორმაზე ორჯერ მეტი დაფიქსირდა. ხომ არ შეუქმნის ეს საწარმო საშიშროება ურეკის წყალმომარაგებას.

ვახტანგ გერდენავა, შპს „უპტისას“ საზედამხედველებო სამსახურის ინჟინერი:–პროექტი საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის კვლევებს ეყრდნობა. ხარისხიან წყალს ჭაბურღილებიდან მივიღებთ. თუკი მდინარის ტყეით დაბინძურება მოხდება, ბუნებრივია, ეს ჭაბურღილსაც შეეხება.

– როდის დასრულდება მშენებლობა?

გელა ფოფორია:–რთული პროექტია. სამუშაოების ტემპი კარგია. 2017 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს პროექტი.

ბიძინა იმნაიშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი: 2012 წლის 1 ოქტომბრამდე დაბა ურეკში მძიმე მდგომარეობა იყო. მოშლილი იყო ინფრასტრუქტურა. არ იყო წყალი, კანალიზაცია, გზა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყოველწლიურად ახალი პროექტი ხორციელდება.

შარშან ბუნებრივი აირის ქსელი გავიყვანეთ დაბაში. რეაბილიტაცია ჩაუტარდა შიდა წყლის ქსელს. მიმდინარეობს ურეკის გზების რეაბილიტაციის სამუშაოები. კურორტ მაგნეტიტს მხოლოდ ერთი გზით, თაყაიშვილის ქუჩით ვუკავშირდებოდით. ახლა შემოვლითი გზაც კეთდება.

ურეკი ჭაობიანი ადგილია და აქ წყლის საწრეტ არხებს ხშირი გაწმენდა სჭირდება. ამიტომ ხანგრძლივი წვიმებისას იყო ცალკეული ტერიტორიების ხშირი დატბორვის შემთხვევები. ამჟამად სამელიორაციო სამუშაოები ხარისხიანად შესრულდება და ეს პრობლემა არ იქნება.

შპს „ფერი“ და გერმანულ-ქართული კომპანია „ფაიფერი“ მართლაც მეგა პროექტს ახორციელებს. თავად ხედავთ, როგორი ტექნიკა მუშაობს. ამ სამუშაოების გარდა, 6 მეტრი სიგანის კეთილმოწყობილი გზა მოეწყობა თაყაიშვილის ქუჩაზე. ამას მოჰყვება ახალი განათება, ტროტუარები..ამ .საკურორტო სეზონსაც ურეკი ღირსეულად შეხვდება.

–ბატონო ბიძინა, მოსახლეობას როგორ ეხმარებით?

–ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო დიდ ყურადღებას იჩენს საკურორტო ზონაზე. ბოლო პერიოდში გადავხურეთ თალიკო გოგუაძის სახლი, დავეხმარეთ სხვებასაც....იმ სიკეთით, რაც ურეკში კეთდება, ყველა ურეკელი ისარგებლებს....

.....უახლოეს ხანში შეკვეთილში (სავარაუდოდ ერთ თვეში) საკონცერტო დარბაზის 200 -მილიონიანი პროექტი დასრულდება. ამ დღეს „მცურავი“ ტიტა დანიშნულების ბოლო პუნქტში მივიდა. მსოფლიოში უნიკალური საინჟინრო პროექტი წარმატებით დასრულდა. შავიზღვისპირეთი ახალ პროექტებს ელოდება.

ქალაქის საკრებულომ რიგგარეშე სხდომებს მოუხშირა

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ რიგგარეშე სხდომებს მოუხშირა.

30 მარტს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვიეს იმიტომ, რომ დროულად მიეღოთ განკარგულება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ“. როგორც ცნობილია, 20 მაისს ქალაქ ოზურგეთში ადგილობრივი თვითმმართველობის შუალედური არჩევნები გაიმართება, რომელიც გამოავლენს თუ ვინ დაიკავებს მოულოდნელად გარდაცვლილი მაჟორიტარი დეპუტატის გოჩა მგელაძის პოსტს ქალაქის საკრებულოში.

სხდომაზე ასევე განიხილეს საკითხები: „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015წლის 30 დეკემბრის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის და საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“– ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

დავიწყოთ მთავარ საფინანსო დოკუმენტში ცვლილებით. როგორც მომხსენებელმა, ქალაქის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა მარიკა ნაცვალაძემ განაცხადა, საჭიროა დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

2016 წლის 21 მარტის საქართველოს მთავრობის №485 განკარგულების თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 2014 წლის 1-2 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზიანებული მდინარე ბჟუჟის ნაპირდამცავი ჯებირის სარეალიზაციო სამუშაოების ნაწილობრივი დაფინანსების განსახორციელებლად გამოეყო 1 000 000 ლარი. ამის გამო საჭიროა ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება პროგრამულ კოდზე 03 02 04 - კეთილმოწყობის სამუშაოები – რომელიც უნდა გაიზარდოს 1 000 000 ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი). ცვლილება განხორციელდება ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილშიც: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი – გაიზრდება 1 000 000 ლარით (გრანტების მუხლი). საკითხის გაანალიზების შემდეგ, დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

დეპუტატებმა ასევე ერთხმად დაუჭირეს მხარი „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ“ მხარდაჭერილი განკარგულებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა, საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, აკრძალულია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თხოვნით, საარჩევნო უბნების მიხედვით გთავაზობთ ობიექტთა ჩამონათვალს, სადაც შესაძლებელია სააგიტაციო მასალების განთავსება:

– №60/01 ზვანი-1 – კოსტავას ქუჩაზე მდებარე გარე განათების ბოძები, მგზავრთა მოსაცდელი (სემინარიის წინ);

– №60/2 ზვანი-2 – სპორტის სასახლე, გარე განათების ბოძები, რაგბის სტადიონთან არსებული შენობა;

– №60/3 რ/ც/საავადმყოფო – საბავშვო ბაღის (ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე) ღობე, ამავე ქუჩაზე მდებარე გარე განათების ბოძები;

– №60/4 მოიდანახე-1 – კულტურისა და დასვენების ბაღის ღობე, გარე განათების ბოძები, ერისთავის ქუჩაზე მდებარე კედელი;

– №60/5 მოიდანახე-2 – გარე განათების ბოძები;

– №60/6 ცენტრი-1 – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები, საბავშვო ბაღის (გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე) ღობე;

– №60/7 ცენტრი-2 – სტადიონის ღობე (რუსთაველის და ფარნავაზ მეფის ქუჩები), გარე განათების ბოძები;

– №60/8 №2 საბავშვო ბაღის ღობე, გარე განათების ბოძები;

– №60/9 ლაშე-1 აღმაშენებლის ქუცაზე გარე განათების ბოძები;

– №60/10 ექადია – თაყაიშვილის ქუჩაზე გარე განათების ბოძები;

– №60/55 ცენტრი-3 – სასტუმრო „გურია“, აღმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების ბოძები, მგზავრთა მოსაცდელი;

– №60/56 ლაშე-1 – მგზავრთა მოსაცდელი, გარე განათების ბოძები;

– №60/57 ანასეული – საბავშვო ბაღი, გარე განათების ბოძები, მინისტადიონი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება დაბა ნასაკირალში საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით

დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 30 მარტის რიგგარეშე სხდომაზე, „გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ქალაქ ოზურგეთის, ოზურგეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოებში შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 22 მარტის №127/2016 განკარგულების შესაბამისად, შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

1. საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს შემდეგი ადგილები: №60/16 საარჩევნო უბანში მდებარე გარე განათების ბოძები და მგზავრთა მოსაცდელები; №60/59 საარჩევნო უბანში მდებარე გარე განათების ბოძები და მგზავრთა მოსაცდელი;

2. ამ განკარგულებით 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა, საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

3. საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება/გაკვრა აკრძალულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

ქალაქის მერი წმინდა გიორგის ქუჩის მოსახლეობას შეხვდა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, ბეგლარ სიორიძე და საკრებულოს თავმჯდომარე, გელა კობალაძე წმინდა გიორგის ქუჩის (ექადიის უბანი) მოსახლეობას შეხვდა, სადაც გზის დაგების მოთხოვნით აქცია გაიმართა.

წმინდა გიორგის ქუჩის მოსახლეობის მთავარი მოთხოვნა გზის საფარის დაგებაა. მოსახლეობა გარდა ცენტრალური ნაწილისა, ჩიხების მოასფალტებასაც ითხოვდა.

როგორც მერმა აღნიშნა, ქალაქის მერიაში წმინდა გიორგის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი უკვე დამზადებულია. იმისთვის, რომ ქუჩა სრულად მოასფალტდეს, 2 მილიონი ლარია საჭირო. გასულ წელს ხსენებული პროექტის ფარგლებში 600 მეტრის სიგრძის გზის საფარის მოასფალტება განხორციელდა, რომლის ღირებულებამ 475 000 ლარი შეადგინა. დარჩენილია გზის 2,200 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომლისთვისაც 1 600 000 ათასი ლარია საჭირო. ხსენებულ თანხას ქალაქის მერია რეგიონული განვითარების ფონდიდან ელოდება.

მერი შეკრებილ მოქალაქეებს იმ პროექტებზე ესაუბრა, რომლის განხორციელებასაც ქალაქის მერია ექადიაზე უახლოეს მომავლში გეგმავს.

მიმდინარე წელს წმინდა გიორგის ქუჩაზე ჩიხების (აღმართების) მოხრეშვითი სამუშაოები და სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა. ბეგლარ სიორიძის ინიციატივით, აღმართების ნაწილობრივი რეაბილიტაციის ნაცვლად ბეტონის გზის დაგება თანდათან, მაგრამ სრულად მოხდება.

გარდა ამისა, წელს პირველად გადაიჭრება წმინდა გიორგის ქუჩის მოსახლეობის უმთავრესი პრობლემა: ქალაქის მერია უმნიშვნელოვანეს პროექტს, ანასეულისა და ექადიის წყლის სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს. ხსენებული პროექტის მიხედვით ქალაქის მერია მოსახლეობის 20 წლიან პრობლემას გადაჭრის.

ქალაქ ოზურგეთში ახალგაშენებული გაზონებიდან დეკორატიულ ნარგაობას იპარავენ

ქალაქ ოზურგეთში რკინიგზის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაშენებული გაზონებიდან დეკორატიულ ნარგაობას იპარავენ.

ამის შესახებ ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ „ალიონთან“ საუბრისას 31 მარტს განაცხადა.

„გამწვანების სამსახურის თანამშრომლებს, რამდენიმე დღის წინ შეუმჩნევიათ, რომ დეკორატიული ნარგაობა ალაგ-ალაგ შემეჩხრებული იყო, მეორე დღეს მეჩხერიანობა კიდევ უფრო თვალში საცემი გამხდარა, მაშინ, როცა თითქმის ასპროცენტიანი გახარების პროცენტი გვქონდა. ნიადაგს ეტყობა როგორც ადამიანის ნაფეხურები, ისე მცენარეთა ამონათხარის კვალი. სავარაუდოდ, ქურდობა „ღამის ცვლაშია“ მომხდარი. ეს მცენარეები ჩაქვიდან ჩამოვიტანეთ, გაშენებაზე იქაური ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დავიხმარეთ, ორივე პროფესიონალი დეკორატორია. შეგვპირდნენ ახალ ნერგებს. შევავსებთ კიდეც, მაგრამ ფაქტია საშინელი – ოზურგეთელი კაცი საკუთარ ქალაქს ძარცვავს“?! – ხელი ჩაიქნია ქალაქის მერმა.

იმედია, საპატრულო სამსახური ყურად იღებს ამ ინფორმაციას და ქალაქის როგორც სხვა ტერიტორიებზე, ისე აქაც, ღამის საათებში განახორციელებს შემოვლით ღონისძიებებს.

ლელა ნაცვალაძე: „ჩვენი მიზანია ხალხს დავუბრუნოთ წართმეული ხელისუფლება“

ალიონი. ოზურგეთის პოლიტიკური მოძრაობა „სახალხო ხელისუფლება“ ოზურგეთის ორგანიზაცია შეიქმნა. მას ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი **ლელა ნაცვალაძე** უხელმძღვანელებს. გთავაზობთ მასთან საუბრის ჩანაწერს:

– რამ განაპირობა ახალი პარტიის შექმნის აუცილებლობა?

– ნაციონალური მოძრაობა არ გახლდათ პოლიტიკური გუნდი, არამედ ის წარმოადგენდა კრიმინალთა დაჯგუფებას, რომელთა ხელითაც, მოკლული იქნა ქვეყნის პრემიერმინისტრი ზურაბ ჟვანია! ცხრა წლის თავზე კი მივიღეთ პატივაყრილი, ღირსებაშელახული, იმედგაცრუებული, გათითოკაცებული და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი დაშინებული მოსახლეობა! სწორედ ამ დროს, 2011 წელს ,პოლიტიკურ ორბიტაზე, გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, რომლის გამოჩენამაც ხელჩაქნეულ მოსახლეობას, იმედის ნაპერწკალი გაუჩინა. რომ არა ბიძინა ივანიშვილი და ქართველი ხალხის აქტიური გამოცხადება საარჩევნო ურნებთან, კრიმინალების რეჟიმს დღესაც ვერ დავამარცხებდით! ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ქართველი ხალხის უპირველესი მოთხოვნა გახლდათ სამართლიანობის აღდგენა და ყველა იმ უკანონო ნამოქმედარის ეტაპობრივი გამოსწორება, რაც წლების მანძილზე წინა ხელისუფლების მიერ იქნა ჩადენილი. მაგრამ ამაოდ, რადგან, სწორედ ამ დროს შემოიღეს ეგრეთწოდებული კოჰაბიტაცია, რომელმაც თითქმის ყველა დამნაშავესა და კრიმინალს მისცა თავისუფლება,უფრო მეტიც, ისინი კვლავ თანამდებობებზე სხედან და გემრიელად განკარგავენ მითვისებულ ქონებას, რათა მომკითხავი არავინ არ ყავთ, ლობისტები კი ბლომად მოეპოვებათ არსებულ მმართველ კოალიციაში. კოალიციაში შემძვრალი პარტიები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ნაცმოძრაობის სატელიტ პარტიებს, პლუსს ნაცმოძრაობის ბუდეებიდან აფრენილი არასამთავრობო ორგანიზაციები. საზოგადოებამ მეტ-ნაკლებად დაკარგა ამჟამინდელი ხელისუფლების ნდობა.... სწორედ ამან განაპირობა ახალი პოლიტიკური მოძრაობის შექმნა, რომელმაც უნდა შეძლოს ხალხს დაუბრუნოს წართმეული ხელისუფლება.

– ვის უნდა დაეყრდნოს თქვენი პოლიტიკური მოძრაობა?

–ჩვენი ამომჩეველი არც „ნაცმოძრაობის“ და არც „ოცნების“ ელექტორატი არ იქნება. ჩვენ ურთიერთობა გვექნება იმ ადამიანებთან, რომლებიც გაურკვეველ სიტუაციაში. თუ კვლევებს დავეყრდნობით, ასეთი ადამიანები ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 35 პროცენტია. ჩვენ ადგილზეც ჩავატარებთ კვლევებს.

–ვინ არიან თქვენი მოძრაობის დამფუძნებელი.

–ამ მოძრაობის დამფუძნებლები ლევან მამალაძე და სულხან მოლაშვილია; თავმჯდომარე ზურაბ კობიაშვილი.

–რა არის თქვენი მთავარი მესიჯი?

– მე, როგორც დეპუტატს, ხშირად მიწევს მოსახლეობასთან შეხვედრები. მათი მოთხოვნაა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა. ჩვენი მთავარი მესიჯი რუსეთის ბაზრის გახსნა იქნება.

–როგორ გესახებათ მომავალი თვითმმართველობა?

–მიგვაჩნია, რომ უნდა შეიქმნას ტერიტორიულ ერთეულებში საკრებულოები,სოფელს უნდა ქონდეს მისი ბიუჯეტი, რაც ხელს შეუწყობს თითეული სოფლის აღორძინებას,რადგან სოფლის მხარდამჭერი პროგრამებით გამოყოფილი თანხები არ არის საკმარისი სოფლის განვითარებისთვის. სოფელს რეალური ხელისუფლება უნდა ჰყავდეს. ჰქონდეს ბიუჯეტი და თავად განკარგავდნენ თანხებს.

...მაშინ რა აზრი აქვს ზარების რეკვას?...

„სიტყვა, თითოეულმა ჩვენგანმა რომ უნდა თქვას, იმ შემთხვევაში შეიძლება ნაძალადევი იყოს, თუკი ჩვენ, მისი წარმომთქმელნი, ცოცხალი დადასტურება ვართ იმისა, რასაც ვამბობთ, სხვაგვარად ჩვენი სიტყვა, შეიძლება, მხოლოდ იმგვარი რამ გამოდგეს, რისი მოძაგება და უგულვებელყოფა უკვე დიდი ხანია უსწავლიათ ადამიანებს“. – მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელი.

არა მგონია, ეს წერილი ვინმემ მოიძაგოს და უგულვებელყოს, რადგან ჩვენ, ყველანი ცოცხალი დადასტურება ვართ განვლილი წლებისა...

ბევრს, ვინც მიცნობს და იცის ცოდნისადმი, ინტელექტისადმი, განსაკუთრებით ქართული ენისა და ლიტერატურისადმი, ჩემი დამოკიდებულება, ჰგონიათ, რომ მე ვარ ფილოლოგი – ქართული ენისა და ლიტერატურის. არადა, არასდროს მქონია ამის სურვილი. ყოველთვის მივიჩნევდი, რომ ეს არის საგანთა საგანი, მისი პედაგოგი კი – მასწავლებელთა მასწავლებელი და თუნდაც საშუალო დონეს ამ დარგში ჩემს თავს ვერასდროს ვაპატიებდი. თუმცა, იმდენი მაქვს ნაძიები და ნაწერი ამ მხრივ, რომ ხანდახან მიფიქრია კიდეც, განზე გადგომით რაიმე ხომ არ დავაკელი საერთო საქმეს...

ვერ ვიტყვი, რომ სასკოლო ცხოვრებით დაშრეტილი ადამიანი ვარ. უფრო სხვა ღვაწლი ავირჩიე. თუმცა, იყო მცირე პერიოდი, როცა სკოლაშიც ვასწავლიდი საქართველოს ისტორიას, პედაგოგიურ კოლეჯში კი – ეთიკას, კულტურის ისტორიას, მეტყველების კულტურას. მაშინ დავრწმუნდი, რომ თუკი შენი სათქმელი შთამბეჭდავად, შინაარსიანად მიგაქვს აუდიტორიაში, არ შეიძლება შენსკენ არ მობრუნდეს და ყური არ დაგიგდოს მოსწავლე იქნება ის თუ სტუდენტი.

როცა ამ წერილის დაწერას ვაპირებდი, „ალიონელ“ მეგობრებს გავესაუბრე გავესაუბრე. მათ მითხრეს, რომ ძლიერისახელმწიფოს მშენებლობა დაფუძნებულია კარგ განათლებაზე. და თუ ეს საფუძველი, საძირკველი მონგრეულია, როგორც ერთი კარგი ლექსი ამბობს, „ყოველი შრომა დაკარგულია“...

განათლების დარგის განვითარებით, პირველ რიგში, ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს. თუ დღეს მასწავლებელთა უმეტესობამ ცოდნის ასეთი შემაშფოთებელი შედეგი გვაჩვენა, ამაში სცოდა წინა მთავრობებმა, რომლებიც მასწავლებლებს იყენებდა არა სასწავლო, საგანმანათლებლო, სააღმზრდელო ძალად, არამედ საარჩევნო ხმის მოსაგებად. მასწავლებელიც მოდუნდა, მოეშვა, შებრძოლებას გაჩუმება ამჯობინა და მცირე ხელფასით დაკმაყოფილდა. მასწავლებელმა მიიღო პოლიტიკურად მორჩილი სახე... ასე გაიარა წლებმა და აი, დღეს გამოცდაზე გასული ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს მეექვსე კლასის ჩათვლით, მოცემულობა ეკითხება როგორ მიიტანს მოსწავლემდე ოთარ ჭილაძის ერთ პატარა ლექსს, როგორ ახსნის სიტყვა დასალიერს. მასწავლებელმა არა თუ ახსნა, არსებობაც არ იცოდა ამ ლექსის.

შესაბამისმა უწყებებმა, ვინც ამ ტესტირებას ადგენს, ბრწყინვალედ იცის, რომ წლების განმავლობაში სოციალური პრობლემებით დამძიმებული, დაბალი ხელფასით მცხოვრები მასწავლებელი თაროდან ნაკლებად გადმოიღებს ოთარ და თამაზ ჭილაძეების შემოქმედებას თუ მას ძალიან ფანატიკურად არ უყვარს თავისი საგანი, მაგრამ აქვე ისიც მინდა დავსძინო, რომ მასწავლებლის ხელფასი მსუყე და ნოყიერი არც ერთ დროში არ ყოფილა, უფრო მეტიც, ადამიანებს, ვის ისტორიულ სიდიადეზე ჯერ კიდევ დგას ჩვენი ქვეყანა, მატერიალურად ყოველთვის უჭირდათ.

რით შეიძლება დაიწყოს ამ საქმის გამოსწორება? არ არსებობს რთული მდგომარეობა, საიდანაც გამოსავალი არ მოიძებნება, მაგრამ ჩვენ გვირჩევნია უფრო ვავნოთ საქმეს, ვიდრე ვაწყენინოთ ადამიანებს. ამგვარმა მიდგომამ კი ასეთი შედეგები დადო.

აუცილებელია არა მარტო მასწავლებლის ცოდნის ბარიერის დაწესება, არამედ ბარიერი უნდა დაუწესდეს თვით სკოლებს. უნდა დადგინდეს სავალდებულო კონტიგენტი. მკაცრად გაკონტროლდეს მოსწავლეთა გამოცხადება, აკადემიური დონე, ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი, დირექციის მუშაობა, მშობელთა ჩართულობა მიმდინარე პრობლემებში, მასწავლებელთა ასაკობრივი მდგომარეობა და ყველაფერი, რისთვისაც საერთოდ სკოლას სკოლა ჰქვია. თუ ეს ყველაფერი სასურველ შედეგს ვერ აღწევს, მაშინ რა აზრი აქვს ზარების რეკვას?!

დღეს ბევრს კამათობენ იმის თაობაზე, რომ შევიდეს თუ არა სკოლებში საგანი „მე და საზოგადოება“. სახელწოდებიდან გამომდინარე, საგანი არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას, თუ, რა თქმა უნდა, შეფარული არ არის. ჯერ არავინ იცის ამ საგნის მიზანი. ისე, არის საკითხები, რომელიც დრომ გახადა სამსჯელო და მოზარდები პასუხს ითხოვენ ამაზე. ეს იქნება საგანი, რომელსაც დასჭირდება გამორჩეული, ანალიტიკური გონება, კარგი ამხსნელი, თუნდაც ნეგატიურისა, რომ მოსწავლემ თავიდანვე სწორად, ზნეობრივად, ტრადიციულად დაიმკვიდროს თავი საზოგადოებაში.

ბატონ გია მურღულიას ვუსმენდი ამასწინათ შუადღის გადაცემაში. მან ილაპარაკა განათლების დაფინანსების გაზრდის აუცილებლობაზე და თავისი სიტყის დასკვნით ნაწილში ღიმილით თქვა ასეთი რამ: „მოსწავლეები ამბობენ, რომ მათ არ მოსწონთ თავიანთი მასწავლებლის ცოდნა და არც ქცევა“. წარმოგიდგენიათ? რასაც ადრე მასწავლებელი ითხოვდა მოსწავლისაგან, ახლა მოსწავლე ითხოვს მასწავლებლისაგან.

ახლაც მახსოვს ჩემი პირველი წერილი, რომელიც გაზეთ „ლენინის დროშაში“ (ამჟამინდელი „ალიონი“) მივიტანე – „მასწავლებელი ამქვეყნად ყველაზე სანდომიანი სახელი“ და ჩემი ჟურნალისტური კალამიც მოვსინჯე. მასწავლებლების მიმართ ბავშვობიდანვე მქონდა დიდი რიდი, პატივისცემა და სიყვარული და ისინიც სიყვარულითვე მპასუხობდნენ.

სად წავიდა, სად გაქრა, სად ჩაიკარგა ეს ყველაფერი?!..

ოლიკო კობალავა.

მიიღებენ თუ არა ლაითურის ციხის მშენებლები კუთვნილ ხელფასს?

ალიონი. დაბა ლაითურის მე-2 რაიონის მცხოვრებლები, რომლებიც სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის ციხის მშენებლობაზე მუშაობდნენ, მშენებლობის ხელმძღვანელებს უჩივიან.

– თვეების მანძილზე ვმუშაობდით. მშენებელი გაგდეს და ჩვენ ანაზღაურებს არ გვაძლევენ. ჩვენი პატრონი არავინაა.

–მე-2 რაიონის სასურსათო მაღაზიიდან სხვა მუნიციპალიტეტებიდან ჩამოსულ მუშებს ნისიად მიჰქონდათ საკვები პროდუქტები. ანაზღაურება ვერ მიიღეს, წავიდნენ და 1,5 ათასი ლარის ნისია „გაიყოლეს“-გვითხრეს მათ.

აღნიშნულ თემაზე კომენტარი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემების საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს **რევან გაბაიძეს** ვთხოვეთ:

–მოგეხსენებათ ეს ციხე სასჯელთაღსრულების დეპარტამენტს ეკუთვნის და ჩვენ მხოლოდ ინფორმაცია ვიცით მომხდარის შესახებ. მშენებლობა სამხარაულის ბიურომ დაიწუნა და მშენებელი გაუშვეს. ამის გამო მშენებლებს თანხა არ ჩამოერიცხათ და მუშებმა ვერ მიიღეს ხელფასი. ჩამო-სული მშენებლები ნისიად იღებდნენ სურსათს (ასეთი პრაქტიკა არსებობდა) ირინა კობალაძის მარკეტიდან. დაზარალდნენ მუშები, მაღაზიის მეპატრონეც. ახლა ეს თემა სასამართლოს ქვემდებარეა. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს თემიდა.

ვაშნარს არქეოლოგიური ექსპედიცია წელს ესტუმრება

ალიონი. წელს, ზაფხულში უძველეს ციხე-ქალაქ ვაშნარში გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა სადრაძე) უხელმძღვანელებს.

–1949 წელს, სოფელ გურიანთაში, ჩაის ფაბრიკის მშენებლობასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო და გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გერმანე გობეჯიშვილი). გაითხარა ვაშნარ-ვაშინერის ერთი ნაწილი, შიდაციხის გალავანი, რამდენიმე კოშკი, სამნავიანი ბაზილიკა და „მავზოლეუმი.“ ჩვენ ამჯერად სწორედ ამ გათხრების ფარგლებში ჩავატარებთ გაწმენდით სამუშაოებს,–გვითხრა ცნობილმა არქეოლოგმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **მერაბ ძნელაძემ.**

–მოგეხსენებათ, ქალაქ ოზურგეთის ცენტრში 1957 წელს მოედნის კეთილმოწყობის დროს სავარაუდოდ ანტიკური ხანის აბანოს ნაშთი გამოვლინდა. 2011 წელს აქ მცირე მოცულობის გათხრითი სამუშაოები ჩატარდა. სამწუხაროდ, ეს ძეგლი არ გადაიხურა. ამჟამად ვიზუალურად ძეგლი მეტად რომ გამოჩნდეს, ჩავატარებთ დამატებით გათხრით სამუშაოებს –გვითხრა **ვაჟა სადრაძემ**.

გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები გურიის გუბერნატორს გია სალუქვაძეს შეხვდნენ. გუბერნატორი მათ მხარდაჭერას დაპირდა.

გამოვიდა სამეცნიერო კრებულის „გურია“ მე-6 ტომი. იგი გურიის სამთავროს დაარსების 525 წლისთავს ეძღვნება. ნაშრომი მომზადდა „ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის“ (პრეზიდენტი მერაბ ძნელაძე) ხელშეწყობით.

ოზურგეთელთა ორი ბრინჯაო

26 მარტს ბორჯომში გაიმართა რესპუბლიკური ტურნირი კარატეში, რომელშიც მონაწილეობდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის კარატისტთა გუნდი. 14-15 წლამდე ასაკის მონაწილეთა შორის 57 კგ წონით კატეგორიაში ნიკა დარჩიამ და გიორგი მამინაშვილმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ოზურგეთელი დავით ჩხარტიშვილი ქალაქ რიგის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია

22- 25 მარტს ქ. რიგაში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, სადაც ქალაქ ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის აღსაზრდელმა დავით ჩხარტიშვილმა 60 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა (მწვრთნელები ზურაბ და ირაკლი ზურაბიანი).

გიორგი თოხაძემ მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო

26-28 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის აღსაზრდელმა გიორგი თოხაძემ 42 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა.

რიგაში კიდევ ერთმა ოზურგეთელმა მოჭიდავემ გვასახელა

25-27 მარტს ქ. რიგაში ჩატარებულდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. წარმატებით იასპარეზა ოზურგეთის ჭიდაობის სკოლის აღზრდილმა კახა ირემაძემ, რომელმაც 55 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა (მწვრთნელი - დავით მაჭარაშვილი).

„მერცხალს“ 17 ქულა აქვს

ალიონი. 25-ე ტურში „მერცხალი“ წალენჯიხაში „სქურს“ შეხვდა და ფრედ 2:2 ითამაშა.

25 ტურის შემდეგ პირველი ლიგის გათამაშების ცხრილის მეორე ათეული ასე გამოიყურება: „იმერეთი“ (ხონი) – 32 ქულა; „ჭიათურა“–28 ქულა; „მეშახტე“, „მაჭახელა“– 27-27 ქულა; „ჩხერიმელა“–26 ქულა; „სამეგრელო“–25 ქულა: „ალგეთი“-23 ქულა; „მერცხალი“–17 ქულა.

„მერცხალს“ და ჩხერიმელას“ გამოტოვებული მატჩი აქვს ნათამაშევი.

ანეკდოტები

– როდის აკეთებენ ჩვენი მთავრობის წევრები კეთილ საქმეს?

– როდესაც პენსიაზე გადიან!

XXX

ძუკუ ნათესავის სანახავად მიდის სამსახურში. გაივლის დერეფანს და ხედავს კარზე წარწერაა: კადრების განყოფილება.

შეაღო კარი და დაინახა ძალიან ლამაზი ქალი. უყურა, უყურა და:

უკაცრავად, ქალბატონო, იკადრებთ რამეს?

XXX

– მარო, გალაკტიონი გიყვართ?

– ჩემს ქმარს ანზორა ჰქვია.

XXX

– სერგოჯან, რათა ხარ მოწყენილი?

– აბა, რა ვქნა?! ექვსი გოგო მყავს და არც ერთი სიძე.

– ვაჰ, შენ რა „ნააბაროტ“ გინდა?

როლანდ თავაძე

სკანვორდი





№ 13-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – გრიგოლ რობაქიძე; მდინარისპირა ჭალა – მერე; უბანი ოზურგეთში – ექადია; ქალაქი ესტონეთში – ავითურმე; პირველი მერცხალის პერსონაჟი – იასონი; კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე – კუპრი; ქალაქი რაჭაში – ონი; ტყემლის პროდუქტი – კვაწარახი; დაღესტნელი ბატონი – ნოინი; პატარა მდინარე ციმბირში – ნია; ქალის სახელი – ირინა; ქოფაკი – ავი; შეძახილი – უი; ჩიტი – სირი; სოფელი აჭარაში – გონიო; ჰომეროსის ნაწარმოები – ილიადა; სამკურნალო მცენარე – ანწლი; რიცხვი - რვა; რომაული კოლონია – იუნოკონია; ეროვნება – ოსი; ... გიუნტერი – ანი; განთიადი – აისი; ზღაპრის გმირი – კონკია; მდინარე გერმანიაში – რაინი; სოფელი თუშეთში – ომალო, არბიტრი – მსაჯი; კედლის ჭაღი – ბრა; იტალიური ტელეკომპანია – რაი; ფრანგი მწერალი – მერიმე; პალო – სოლი; მცირე ზომის ნავი – სანდალი; წიგნის ნაწილი – კარი; არმია - ჯარი; დიონისე, იგივე ... – ბაკქოსი; რეზერვუარი – ავზი; დამწერლობისა და მეცნიერების ღმერთი სომხურ მითოლოგიაში – ტირი; ჭურიდან ღვინის ამოსაღები – ორშიმო; გრამატიკული კავშირი - და; ისტორიული ოლქი საფრანგეთში – ლოთარინგია.

ფირალთა თარეში გურიაში - საწყისი ეტაპი

დასაწყისი იხილეთ №9-12, 2016 წ

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი



ივანე დუმბაძეს თანამეცხედრედ ვარდანიძეთა გვარ-გუჯაბის ულამაზესი ნაშიერი ესე გურიელის ასული ტერეზია გურიელი ჰყავდა. გურიელები თაკილობდნენ ერთხანს „დაბალი სოციალური რანგის“ დუმბაძეს, მაგრამ „იალტის გრადონაჩალნიკს“ ბოლოს კრძალვითა და რიდით შეჰყურებდნენ.

გენერალ ივანე დუმბაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს კულტურის დიდ მოამაგესთან და განძეულის გუშაგთან - ექვთიმე თაყაიშვილთან. დიდად აფასებდა მას და თავის მზრუნველობას არ აკლებდა ჭეშმარიტ მამულიშვილს.

ბატონი ექვთიმე იგონებს: „...მღვდელ პოლიექტოვ კარბელაშვილისაგან გვქონდა გაგონილი, რომ ელენე თარხან-მოურავის მეუღლეს ჰქონდა შეძენილი ერთი სურათებიანი „ვეფხისტყაოსანის" ხელნაწერი თვით პოლიექტოვ კარბელაშვილის დახმარებით, ქალბატონი ელენე იმჟამად ტფილისში არ ცხოვრობდა, არამედ იალტის მახლობლად კუჩუკლამბატში, თავის მამიდის გაგარინის ცოლყოფილის მამულში. ამიტომ ჯერ წერილით მივმართე მაშინდელ იალტის გრადონაჩალნიკს ივანე ანტონის ძე დუმბაძეს, რომ ეშუადგომლა ელენე თარხნიშვილისას ის ხელნაწერი შეეწირა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის...

1912 წლის ზაფხულში მე თვითონ გავემგზავრე ელენესთან, ვიცოდი რომ მას სხვა სურათები და სამუზეუმო ნივთებიც ჰქონდათ. როგორც შეეფერებოდა, საქართველოს ბანოვანს, ელენემ დიდად თავაზიანად და გულწრფელად მიგვიღო. რაც სახლში ჰქონდა და მუზეუმისათვის ვარგოდა სიამოვნებით გადმოგვცა, მაგრამ გამოჩნდა, რომ მას თავისი ვერცხლეულობა, სხვა ძვირფასი ხატები, ნივთები მასთან ეს ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი", შიშიანობის გამო პირველ რევოლუციის დროს, სევასტოპოლის ხაზინაში მიებარებინა შესანახად. პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ ის თავის ვერცხლეულობას, ხატებს, სურათებს, წიგნებს და იარაღს, ჩვენს მუზეუმს დაუტოვებდა ანდერძითა, ხოლო „ვეფხისტყაოსანს" მალე გამოიტანდა ხაზინიდან და გამომიგზავნიდა.

(აქვე გაგვიმხილა).

ივანე დუმბაძემ მოსვენება არ მომცა მაგ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერისათვის, რომ თქვენთვის გამომეგზავნაო, მაგრამ ჯერჯერობით გამოტანა ვერ მოვახერხეთო“.

ასეთი იყო გოგია ლომჯარიასა და დათულია სურგულაძის ფირალად ზეობის ხანიდან მოკიდებული ოზურგეთის მაზრის ბოქაულისა და იალტის გენერალ გუბერნატორის ივანე ანტონის ძე დუმბაძის დამოკიდებულება ქართული ეროვნული კულტურის მონივთებისა და ტყეში გავარდნილი ფირალთა და ავაზაკთა მოხელეობის საქმეში. ორთავე სფეროში შეუმცდარი ალღო და გასაოცარი წინათგრძნობა ჰქონდა. აღებულ კვალსა და „გეშს“ არასოდეს დაჰკარგავდა. არც გოგია ლომჯარიასა და დათულია სურგულაძის კვალი დაუკარგავს.

ივანე დუმბაძე ბათუმში იყო იმხანად, როდესაც სოფელ წითელმთიდან „საკუთარმა ჯაშუშმა“ „დანოსი“ მიუტანა. ლომჯარიამ და სურგულაძემ ჩაქურების საყიდლად გამოგზავნა, ახლა ორთავენი ჩემსას არიან სახლში და ახალ ჩაქურებს ელოდებიანო.

ფიცხლად დაიძრა ბათუმიდან გურიის დრუჟინის მესამე ასეულის მეთაური შტაბს-კაპიტანი ივანე დუმბაძე. სამი სტრაჟნიკი იახლა თან. ჯაშუშის მიერ მითითებულ ადგილზე შეიმწყვდია ავაზაკები. გაიმართა საშინელი სროლა.

დუმბაძემ ჯერ სურგულაძე ამოიღო ნიშანში. მაგარი ვაჟკაცი იყო დათულია, მაგრამ უშიშარი შტაბს-კაპიტანის ტყვიას ვერსად გაექცა.

გაზ. „დროების“ ცნობით: შემოქმედში შეხვედრია გზაზე ივანე დუმბაძეს დათულია სურგულაძე და გოგია ლომჯარია. დუმბაძეს სამი მილიციონერი ხლებია. დათულიამ შეხვედრის უმალ ესროლა თოფი დუმბაძეს. იმავე წამს მოისმა დუმბაძის თოფის ხმაც. ფირალი ერთი მხრით წაიქცა. შტაბს-კაპიტანი მეორეს მხრით. დუმბაძის ჭრილობა ნაკლებად საზიანო იყო. დათულიას ჭრილობა - სასიკვდილო.

საოცარი ღონის პატრონ დათულიას საარაკო ძალთა მაქსიმალურად მოკრების ფასად აუზიდავს დაკოდილი სხეული და ერთ მახლობლად მდგარ ხეს ამოფარებია. ლომჯარიამ და სურგულაძემ ხე საფარად გამოიყენეს და იქედან ესროდნენ დუმბაძესა და მის მილიციელებს. იმარჯვა ივანე დუმბაძემ, შვიდი ტყვია მოარტყა დათულიას იქვე განუტევა სული. ცხოვრებას სიკვდილი არჩია.

ახლა სასიკვდილოდ დაჭრილ ლომჯარიას მისდგა ივანე დუმბაძე და მისი „სტრაჟა“. გაზ. „კავკაზის“ ცნობით მძიმედ დაჭრილი ლომჯარია ივანე დუმბაძეს შეუპყრია და ქუთაისის გუბერნატორისათვის ჩაუბარებია. ორი წელი მჯდარა ქუთაისის ციხეში. ჭრილობებისაგან გამოკეთებულა. ბორკილები წაუძრია ხელ-ფეხიდან, ციხიდან ქორივით გადმოფრენილა, ისევ ტყეში გავარდნილა და ადრიდანვე დაწყებული ფირალობა ისევ გაუგრძელებია. ეს იყო 1884 წლის მიწურვილს.

გაზეთ „დროების“ მონათხრობით, ივანე დუმბაძემ ვერ მოახერხა დაჭრილ გოგია ლომჯარიას შეპყრობა. იგი საკუთარ სოფელში - წითელმთაში იმყოფებოდა და მისსავე ახლობლებს გადაურჩენიათ ივანე დუმბაძისაგან დაჭრილი და ცოცხალ-მკვდარი. უმკურნალებიათ, მოურჩენიათ. ფეხზე დაუყენებიათ. ფეხზე მკვიდრად დამდგარ ლომჯარიას ფირალობა და სტრაჟებზე თარეში კვლავ გაუგრძელებია.

გოგია ლომჯარიას თარეშს და ხელისუფლების საზიანო საქმეთა კეთებას ეგზეკუციის ჩამოყენება მოჰყოლია სოფლად. სამი როტა რუსის სალდათი შემოქმედის საზოგადოებაში დაბანაკებულა. ხალხი აწიოკებულა. მანამდე - ლომჯარიას გაფირალებამდე ასეთი რამ არ ახსოვდა სოფელს. გლეხობა წელში წყვდებოდა. რუსის სალდათის „კუჭის ამოყორვა“ საძნელო საქმე შეიქმნა. გოგია ლომჯარიას გატანა კიდევ უარესი. ახლა გოგიე ძნელი ასატანი შეიქმნა როგორც მთავრობიზა, ასევე ხალხიზა. „ხალხის ინტერესებიზა“ მის ფირალად გავარდნა ისევ ხალხს დააწვა მთელი სიმძიმით ქედზე.

ხალხს რომ არ „მოშორებოდა“ და გავლენა არ დაეკარგა, გოგიას მთავრობასთან შერიგება გადაუწყვეტია. საქმეში შემოქმედელი ჩხატარაშვილები ჩამოდგნენ. გოგიე ქუთაისში წაიყვანეს და გუბერნატორს შეახვედრეს. გუბერნატორმა „შეირიგა“ და „შეიტკბო“ გოგიე, მაგრამ მთლად „კაკალ გულში“ მაინც არ ჩაუხუტებია. ოზურგეთის მაზრის თავზეხელაღებულ ფირალს მძიმე საკატორღო სამუშაოები გამოუწერა."

წინამდებარე ვერსია ივანე დუმბაძის „დისკრედიტაციისა და გოგია ლომჯარიას „კაი კაცობის“ დასაბუთების მიზნითაა შექმნილი,- რომლის უმთავრესი არსია ფირალ ლომჯარიას - როგორც ხალხის რჩეულისათვის „ხელთუქმნელი ძეგლის აგება“ გოგიამ ქუთაისის გუბერნატორთან საკუთარი სურვილის საფუძველზე გამოცხადებით სოფელი იხსნა ეგზეკუციის თარეშისაგანო.

საინტერესო ვერსია გახლავთ: გოგია ლომჯარია არც ისეთი გულუბრყვილო „ჩვილი კრავი თუ ბატკანი“ გახლდათ იმდროინდელი ხელისუფლების საძრახისი კანონები და წესები რომ არ სცოდნოდა. კაცი ფირალად იყო გაჭრილი, მაზრის უფროსის თანაშემწე, ფრიად გონიერი და ქველმოქმედი, მთელ გურიაში დიდად დაფასებული ანტონ ნაკაშიძე ჰყავდა მოკლული „ხარის ქურდობის დაბრალების გულიზა“, რასაც ჭეშმარიტების მარცვალი იდო იმთავითვე, და გასაკვირია რომ თავზე ხელს არავინ გადაუსვამდა დიდი მზრუნველობითა და მორიდებით.

აქვე აღსანიშნავია: ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იჯდა ქუთაისის ციხეში „ხალხის გულიზა“ მთავრობას შერიგებული გოგია და მერე რა ჟრჟოლამ დააყარა ტანში ქუთაისის ციხიდან რომ „გადმოუფრინდა“ და ხელმეორედ გაფირალდა?

ბუნებრივია ლომჯარია ამის შემდგომ ისევ სოფელში ჩასახლებოდა. მისი შენახვა ისევ სოფელს უნდა ეკისრა. მთავრობა ამ აკრძალული საქციელისათვის ისევ სოფელს „გასტეხდა წელში“ და ახალ ეგზეკუციას ჩამოაყენებდა. ყოველი გლეხის ოჯახში ხიშტმომარჯვებული ყაზახ-რუსი დაიდებდა ბინას. ასეთ შემთხვევაში რა გზას უნდა დადგომოდა ხელმეორედ გაფირალებული გოგია? ნუთუ ისევ ქუთაისისაკენ მიმავალ გზა-სავალს გაჰყვებოდა, ისევ გუბერნატორთან გამოცხადდებოდა და ისევ „წაუშვერდა“ კისერს ქედზე ბორკილთა დასადებად?

არცერთ ფირალს, რაც არ უნდა „მაღალი იდეალებით“ შეპყრობილი არ უნდა ყოფილიყო იგი, არც ლომჯარიამდე და არც მის შემდგომ ასეთი რამ არასოდეს მოუმოქმედებია და რაღა მაინცა და მაინც გოგიე უნდა ყოფილიყო ბედნიერი გამონაკლისი?

გოგია ლომჯარია ოზურგეთის მაზრის ბოქაულ, შტაბს-კაპიტან ივანე ანტონის ძე დუმბაძის მიერ იქნა დაჭერილი, მისივე ძალისხმევით შეპყრობილი, და მიგვრილი ქუთაისის გუბერნატორთან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მისთვის განკუთვნილ სასჯელს ბოლომდე მოიხდიდა და მშობლიურ სოფელს ხელახალი ეგზეკუციისათვის ნამდვილად აღარ გაიმეტებდა. ყაზახ-რუსების წუწკი ბუნება, გაუმაძღრობა და თანდაყოლილი სისასტიკე ისეთსავე ზიანს მიაყენებდა შემოქმედის საზოგადოებას, როგორსაც „ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლ“ გოგია ლომჯარიას პირველი გაფირალების ჟამს ჰქონდა ადგილი ამ საშინელებას.

1884 წლის მიწურვილს ქუთაისის ციხიდან გამოქცეულმა გოგიამ ისევ მშობლიურ სოფელს მიაშურა. შემოქმედ-გოგიეთ-გომის ტყეებს შეაფარა თავი, მაგრამ ტყეში იმდენს მაინც არ იმყოფებოდა რამდენსაც სახლში. საუზმე და სადილ-ვახშამი „გოგიასთვის მუდამ ხაზირად ჰქონდათ“. ეს წესი იყო და დაუწერელი კანონი. ამ მხრივ გოგიე რუსის ეგზეკუციის ნაკლები არ იყო სოფლიზა.

ისევ შეიძრა სოფელი „გოგიეს გამოისობით“ ხელისუფლებამ ახალი ეგზეკუცია განუმზადა შემოქმედის საზოგადოებას. მის შესაპყრობად ღალატი უკვე შემზადებული იყო. მისი თარეში არც ივანე დუმბაძის თვალთა ხედვას გამორჩენია. დუმბაძე ისევ ლომჯარიას „ცხელ კვალს“ დაადგა. გოგიას გურიაში აღარ დაედგომებოდა.

1885 წლის დეკემბერში ზოგიერთი გადმოცემით იგი სოფელ ხინოში, ვინმე ტაკიძის ოჯახს შეფარებია, თათრულ წესზე მონათლულა. ქრისტეს რჯული დაუგდია და გათათრებულა. გურულ ფირალთაგან თათრულად გარდა გოგია ლომჯარიასა, არავინ მონათლულა, არავინ გათათრებულა. ასე აიძულა ცხოვრების ბედუკუღმართობამ იგი. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და სოცოცხლის შენარჩუნების აუცილებლობამ იგი „თათრად“ აქცია.

დუმბაძის ქორულ მზერას გოგია ხინოში არ გამოჰპარვია. რვა შეიარაღებული თათარი სტრაჟნიკი გაიგზავნა მისი ბრძანებით ტაკიძის ოჯახში, ღამის მათევარ გოგიას შესაპყრობად. მძინარეს დაადგნენ თავზე. გოგიამ ყაფაღლა თოფის ხმარება, რომლითაც 1881 წლის 19 მარტს ანტონ ნაკაშიძეს მოუსწრაფა სიცოცხლე, ვეღარ მოახერხა.

მომხდურებმა ბაწრით შეკრეს „გათათრებული გურული ფირალი“, და დუმბაძესთან მისაგვრელად წამოიყვანეს. გზაში გაბაწრულს საარაკო ხერხი უხმარია, ხელები გაუხსნია, ერთი სტრაჟიზა სატევარი აურთმევია და მკლავი მოუჭრია. სტრაჟნიკი თათრები მიმხვდარან, რომ ცოცხალი ლომჯარია მრავალ ზიანს მიაყენებდა კვლავაც მათ. ბევრი აღარ უფიქრიათ და ხინოდან ქობულეთს ჩასაყვანად გოგიე შუა გზაზე „მოუკლავთ, 1886 წლის 27 მარტს.“ იგი მაშინ 26 წლისა ყოფილა.

გოგია ლომჯარიას მკვლელობის შემდეგ ივანე დუმბაძე დააწინაურეს, როგორც ზემოთ მივუთითეთ, იგი იალტის გრადონაჩალნიკი გახდა. პირადად იცნობდა იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს. იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ხშირად ჩადიოდა იალტაში, მისი დაცვის უსაფრთხოებას ივანე დუმბაძე განაგებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნატყუარობის ნიადაგზე, და გოგია ლომჯარიას განდიდების საფუძველზეა შეთხზული ვერსია თითქოს „თათარი სტრაჟების“ მიერ ხინოს გზაზე მოკლული გოგია ლომჯარია ივანე დუმბაძეს ყაზას რუსებისა და ამ ადგილას მოსახლე დადიან-ოღლების თვალწინ ხეზე მიეყუდებონოს. მკვდრისთვის თოფი ესროლოს და მისი სიკვდილი როგორც ავაზაკთა თუ ფირალთა, ასევე სტრაჟნიკთა ბუნებას და ამდენ ხალხის თვალწინ, საკუთარი განდიდების მიზნით იგი მიცვალებულს სამიზნედ არ გამოიყენებდა. გოგია ლომჯარიას სოფელ ხინომდე ხომ თავად ივანე დუმბაძის მიერ ძალზე ოსტატურად დაგეგმილი საიდუმლო ოპერაციის საფუძველზე მოხდა. ლომჯარია საღათას ძილში იმყოფებოდა, როცა ტაკიძის ოჯახში ივანე დუმბაძის მიერ წარგზავნილი „თათრის სტრაჟები“ წაადგა მას თავზე.

გოგია ლომჯარიას მსგავსი და „უკეთესი“ ფირალები მრავალგზის უშვია ქედფიცხელ ჩაქუროსანთა მხარეს. ივანე დუმბაძის მსგავსი პოლიციის მაღალი რანგის ჩინოსნები - იშვიათად. კეთილ მგალობელ მწიგნობარი ანტონ დუმბაძის ვაჟი რუსის მონარქისადმი რუსზე უფრო ერთგული. ფირალთა, მაუზერისტთა და რევოლუციონერთა ნამდვილი რისხვა იყო. იალტის გრადონაჩალნიკობაც კი „მცირე სარბიელს“ წარმოადგენდა მისთვის.

განცხადებები

იყიდება კომპლექსი არგო - მიწა 700-კვ.მ, რესტორანი 110-კვ. მ, საქორწილო დარბაზი 330-კვ.მ, მაღაზია 46-კვ. მ, . საბანკეტო – 50კვ. მ. კუპე 18კვ. მ . ფასი-175 000 დოლარი

იყიდება (ქირავდება) ბინა გრიბოედოვის ქ. №21-ში I სართული 90 კვ. მ, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საჭიროებისათვის და საოფისედ.

* * *

იყიდება მიწა 9400 კვ. მ ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.
ტელ. 599 58 75 32.

კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრისთვის შარშანდელი ნაყოფიერი გამოდგა

ქალაქ ოზურგეთის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი შეიქმნა 2015 წლის 2 ივნისს. ცენტრის მიზანია ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი მოღვაწეობის ხელშეწყობა. არსებული კულტურული რესურსის დაცვა და მის საფუძველზე ახლის შექმნა-განვითარება. ხალხური რეწვის ნიმუშების მოძიება-აღრიცხვა; სახალხო მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა.; სამუსიკო, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვება, შესწავლა და განვითარება; ეროვნული ტრადიციების დაცვა და პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე გასვლითი კულტურული

ღონისძიებების მოწყობა; სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობა.; ბავშვთა და ახალგაზრდული ტურიზმის ხელშეწყობა. მოზადთა ინტერესების შესაბამისი წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა; ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებითი და დასვენება - გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის ხელშეწყობა.

კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებს ჭადრაკის, ფორტეპიანოს, ლიტერატურის, ინგლისურის, მათემატიკის, ხატვის, საესტრადო, თეატრალური, ქორეოგრაფიული (ქართული ხალხური და თანამედროვე ცეკვები) წრეები. ასევე საგალობელთა სტუდია, ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლები. ფოლკლორული ანსამბლები „შვიდკაცა“ და „ვახტანგური“, „ვაჟთა ტრიო“, კვარტეტი „ჰარმონია“, კვარტეტი „ჯამა“. ხალხურ საკრათა ანსამბლი „ედელვაისი“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „კრიმანჭული“, ფოლკლორული ანსამბლი „დილა“ საესტრადო ჯგუფი „შარმი“,ხალხურ საკრავთა შემსწავლელი ანსამბლი.

ცენტრს დაარსებიდან კობა ბანძელაძე ხელმძღვანელობს.

კობა ბანძელაძე: „ყველა წრე, რომელიც ჩვენთან ფუნქციონირებს, ბავშვებისთვის უფასოა. მოსწავლეების დიდი ნაკადი მოვიდა ამიტომ ზოგიერთი წრე დავყავით ორ და სამ ჯგუფად. ჩვენთან არიან ბავშვები როგორც ქალაქიდან, ასევე სოფლებიდანაც. ამ შემთხვევაში ჩვენთვის პრიორიტეტი ქალაქი არაა. ცენტრი აღვჭურვეთ ახალი ინვენტარით. შევიძინეთ სინთეზატორი, საოფისე სკამები, ჭადრაკის დაფები, მაგიდები, ოთახის გამანათებელი ჭაღები, დაფები, საწერი მაგიდები როგორც ბავშვებისთვის, ისე ადმინისტრაციისთვის. გავაკეთეთ ელექტროგაყვანილობა. შევაკეთეთ სველი წერტილები. შევცვალეთ მინები. გავაკეთეთ ახალი აბრები და ბანერები. რამდენიმე ანსამბლისთვის უკვე შეკვეთილი გვაქვს ფორმები. უცხო ენის და კინო ხელოვნების წრეებზე გვყავს უცხოელი მოხალისე პედაგოგები, რომლებიც უსასყიდლოდ ასწავლიან ბავშვებს“.

კულტურის და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ამ წლის ბიუჯეტი 427 000 ლარით განისაღვრება.

გასული წლის შედეგები ასეთია:

2 ივნისი - ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული თანამედროვე ცეკვების ანსამბლი „ფუტურე” (ქორეოგრაფი -მელანო დარჩია) ურეკში გამართულ ხალხური ფოლკლორის საერთაშორისო ტრადიციულ ფესტივალ-კონკურსში „აგუნა და აგიდელა“ მონაწილეობისთვის დაჯილდოვდა დიპლომით და ლაურეატობის წოდება მიენიჭა.

6 ივლისი - ქობულეთში საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის ორგანიზებით საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა, სახელწოდებით „კავკასია-2015“ სადაც მონაწილეობა მიიღეს ხალხურ საკრავთა ანსამბლმა „მარულა“ (ხელმძღვანელი -თამთა კვირკველია) და ბიჭუნათა ფოლკლორულმა ანსამბლმა „დილა“ (ხელმძღვანელი - ლაშა ჩხარტიშვილი), რომლებმაც მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისთის მედალი, დიპლომი და ლაურეატის წოდება დაიმსახურეს.

6 ივლისი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს ფოლკლორის ცენტრის ორგანიზებით ქ. ბათუმში ჩატარდა ფოლკლორის ფესტივალი, სადაც მიწვეული იყო „ვახტანგური“.

7 ივლისი - ქალაქ ოზურგეთში საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი სალუქვაძის სიმღერისა და ცეკვის ფესტივალი ჩატარდა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა ანსამბლმა „შვიდკაცამ“ (ხელმძღვანელი- ტრისტან სიხარულიძე) და „ვახტანგურმა“ (ხელმძღვანელი-მამია რუსიძე), ასევე ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „კრიმანჭულმა“ (ხელმძღვანელი-ტრისტან სიხარულიძე), რომელსაც ლაურეატობის წოდება მიანიჭეს და შესაბამისი დიპლომი გადასცეს, ხოლო ფესტივალის გამარჯვებული და გრან პრის მფლობელი გახდა ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „დილა“ (ხელმძღვანელი-ლაშა ჩხარტიშვილი).

1 აგვისტო - ნიკორწმინდის 1000 წლისთავთან დაკავშირებით რაჭაში ფოლკლორის ფესტივალი„ფუძემზეობა“ ჩატარდა, სადაც მიწვეული იყო ანსამბლი „ვახტანგური“

15 სექტემბერი -„ალეგრობა-ოზურგეთობის“ სადღესასწაულო ზეიმი.

30 სექტემბერი - სოფელ ლეღვაში

გურულ-ქობულეთური ფოლკლორის ზეიმი გაიმართა, სადაც მიწვეული იყო სახალხო ანსამბლი „შვიდკაცა“.

3 ოქტომბერი - ხობში ჩატარდა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი სახელწოდებით„ სიმღერა საქართველოზე“, მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა ანსაბლმა „ვახტანგურმა“ (ხელმძღვანელი – მამია რუსიძე)

20 ოქტომბერი - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ჩატარებულ დათვალიერებაში წარმატებით მიიღეს მონაწილეობა ანსამბლებმა „შვიდკაცამ“ და „ვახტანგურმა“.

7 ნოემბერი – ქოზურგეთში გაიხსნა ე. თაყაიშვილის სახელობის განახლებული ეთნოგრაფიული მუზეუმი. ღონისძიებაში მონაწილეობდა ანსამბლი „ვახტანგური“

10 ნოემბერი - საჩხერის რაიონში ჩატარდა საგამბელთა ფესტივალი, მაყურებელთა წინაშე წარსდგა კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული საგალობელთა სტუდიის მგალობლები.

18 ნოემბერი - კვარტეტ „ჰარმონიას” დათვალიერება.

21 ნოემბერი - ქ. ბათუმში ჩატარდა რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი „ბათუმური შემოდგომა“-2015. მიწვეული იყო ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ედელვაისი“ . ანსამბლმა წარმატებული გამოსვლისათვის ლაურეატის წოდება და მე-2 ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

1 დეკემბერი - ლუკა ჩხარტიშვილისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო საღამო.

4 დეკემბერი - ვაჟთა ტრიოს დათვალიერება.

24 დეკემბერი - ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ანსამბლ „დილას“ საანგარიშო კონცერტი.

25 დეკემბერი - საახალწლო ნაძვის ხის გახსნა თეატრალურ მოედანზე.

30 დეკემბერი - საახალწლო კონცერტი.

ნაწილაკებში დანახული მშვენიერება

ალიონი 30 მარტს მ. ბერძენიშვილის სახელობის ქ. ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში მხატვარ-დეკორატორის მანანა სიხარულიძის პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

ამ გამოფენისადმი მოლოდინი და ინტერესი ძალიან დიდი იყო, რადგან სახვითი ხელოვნების მოყვარულთ ჯერაც არ განელებიათ შარშან, სოფელ ცხემლისხიდში, გიორგი სალუქვაძის სახლმუზეუმის ეზოში, ღია ცის ქვეშ ქალბატონი მანანას შემოქმედების ხილვით მიღებული მუხტი და ემოცია.

ქალბატონი მანანა სიხარულიძე თვითნასწავლი მხატვარ-დეკორატორია, რომელიც ხედვით, კომპოზიციით, სტილით, ფერთა შესამებით, თემის აქტუალობით, გადაწყვეტის ორიგინალობითა და დინამიზმით ზოგადად ნიჭიერებით არაფრით ჩამორჩება თავის პროფესიონალ კოლეგებს.

ამ საოცრად შრომისმოყვარე და უსაზღვროდ ნებისყოფიან შემოქმედს აქვს იმის უნარი, უმცირეს ნაწილაკებში დიდი მშვენიერება დაინახოს, სამზეოზე გამოიტანოს და მხატვრულ ქმნილებად აქციოს.

გამოფენა ოზურგეთელმა საზოგადოებამ გულთბილად მიიღო.

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

რ

7 დღის ამინდის პროგნოზი

4 აპრილი ორშაბათი	5 აპრილი სამშაბათი	6 აპრილი ოთხშაბათი	7 აპრილი ხუთშაბათი	8 აპრილი პარასკევი	9 აპრილი შაბათი	10 აპრილი კვირა
მზე, ღრუბელი +6+10	მზე, +6+14	მზე, +9+15	მზე, +11+18	მზე, +14+20	მზე, +14+20	მზე, ღრუბელი +13+21